*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
25.11-12.12.2022წ
დასკვნის წარდგენის თარიღი
09.01.2023წ.

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა ..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... 23

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 31

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 34

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... 47

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245428158 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაკა კარტოზია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო მესხიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Master Educational Program |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მე-7 დონე/მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სამართლის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0421<br><br>სამართალი |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 ECTS |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტირებული, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით და წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის პირობით.<br>MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილება, |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას პირველადი აკრედიტაცია მიენიჭა 12.03.2012 წელს. რეაკრედიტაცაია 26.03.2021, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით და წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის პირობით (MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილება).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს ECTS:

1. სპეციალობის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი ECTS; 2. საერთო სპეციალობის კონკრეტული მოდულების (საჯარო, სისხლი და კერძო) სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი ECTS; 3. საერთო სპეციალობის კონკრეტული მოდულის (საჯარო, სისხლი და კერძო) არჩევითი სასწავლო კურსი - 10 კრედიტი ECTS; 4. სასწავლო პრაქტიკა - 30 კრედიტი ECTS; 5. კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულება დაცვა - 30 კრედიტი ECTS.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს სახელმწიფოს მიერ დადგენილი საერთო სამაგისტრო გამოცდა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, რაც თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ხორციელდება პროგრამის მუდმივი მონიტორინგი მისი მოქნილობისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით.

აკრედიტაციის საბჭოს MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები. ამასთან, საბჭოს მიერ განხორციელდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა და ცნობად მიღება ( სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 22 0000661789 17/06/2022 სხდომის ოქმი)), რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია, ამასთან გათვალისწინებულია რჩევებიც.

2022 წლის 25 ნოემბერს გახორციელებულმა ვიზიტმა აჩვენა, რომ პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შეესაბამება პროგრამით გაწერილ მითითებებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლსი 25 ნოემბერს დისტანციურად Zoom ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.

უსდ-ში აკრედიტაციასთან დაკავშირებული ვიზიტი გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში. ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და უსდ-თან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობისას გაირკვა, რომ პროგრამა დაკომპლექტებულია პროფესიონალი აკადემიური პერსონალით, ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში და ნემისმიერ საკამათო თუ პრობლემურ საკითხზე მყისიერად რეაგირებს, ამასთან, აგრძელებს დადებითი და ძლიერი მხარეებისთვის დამახასიათებელი პროცედურების განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს (ონლაინ რეჟიმში) ბიბლიოთეკა და უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი portal.bsu.edu.ge, გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის სამსახურს, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებს, უინივერსიტეტის ადმინისტრაციას, დეკანს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს. ვიზიტი საინტერესოდ და საქმიანად წარიმართა, უნივერსიტეტი

ღია იყო თანამშრომლობისთვის, რის გამოც ვიზიტი ნაყოფიერად და წარმატებით დასრულდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტების მიერ გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა I სტანდარტი, II სტანდარტი, IV სტანდარტის 4.1; 4.3; 4.4; 4.5 კომპონენტი, V სტანდარტი. ყველა შეფასებული სტანდარტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

ექსპერტებმა პროგრამის გეგმიური მონიტორინგის დროს დაადგინეს, რომ უნივერსიტეტს შესრულებული აქვს აკრედიტაციის საბჭოს 26.03.2021 წლის გადაწყვეტილებით მიღებული რეკომენდაციები და ახალი რეკომენდაციების საჭიროება არ გამოკვეთილა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტებმა პროგრამის გეგმიური მონიტორინგის დროს დაადგინეს, რომ უნივერსიტეტს აკრედიტაციის საბჭოს მიერ 26.03.2021 წლის გადაწყვეტილებით მიღებული რჩევები გათვალისწინებული აქვთ. ამდენად, დამატებითი რჩევების საჭიროება არ გამოკვეთილა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი - portal.bsu.edu.ge. აღნიშნული პორტალი გამოირჩევა მისი მრავალფუნქციურობით, როგორიცაა მიმოწერა, საგნებზე რეგისტრაცია, გამოცდების განრიგის გაცნობა, გამოცდის დაწერა, ინფორმაცია როგორც საუნივერსიტეტო ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ მიმდინარე აქტივობების შესახებ, სიახლეები და სხვა. პორტალი პასუხობს თანამედროვე სტუდენტური ელექტრონული პორტალის ყველა მოთხოვნას.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

**ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც ის სრულად იზიარებს დასკვნაში წარმოდგენილ შეფასებებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტებულ რეჟიმში 2012 წლიდან ახორციელებს (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #52, 12.03.2012). წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაწესებულების მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. დოკუმენტიდან (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024)), ირკვევა, რომ ზოგადად უნივერსიტეტმა ყველა სხვა დასახულ მიზანთან ერთად, განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი სოციალური როლი უნდა შეასრულოს რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შესაბამისად სამაგისტრო პროგრამის მიზნები უნდა მიმართული იყოს უნივერსიტეტის მისიისა და მის მიერ დასახული მიზნის მიღწევის შესასრულებლად. სამაგისტრო პროგრამას განსაზღვრული აქვს 7 მიზანი, რომლებიც ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო, სისხლის და კერძო სამართლის სფეროში, მისცეს კომპლექსური ცოდნა ეროვნულ სამართალთან - საზღვარგარეთის ქვეყნების, ევროკავშირისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებზე.

პროგრამა ორიენტირებულია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური პროფესიონალები სამართლის სფეროში; შეიტანონ წვლილი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის, ასევე დარგის განვითარებაში, რამდენადაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პროგრამას შეუძლია გამოუმუშაოს სტუდენტს დემოკრატიული ღირებულებების შექმნისა და დამკვიდრების უნარი, პროფესიონალი იურისტისათვის, განსაკუთრებით კი სამოსამართლეო საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და ეთიკური სტანდარტების პატივისცემისა და მათი განვითარების, გადაწყვეტილებათა მიღებაში ბალანსის დაცვის, კვლევის სხვადასხვა მეთოდებით განხორციელებისას აკადემიური სტანდარტების დაცვის უნარი; გამოუმუშაოს პასუხისმგებლობა ცოდნის განვითარებაზე, პრობლემების გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებაზე, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად და გუნდურად მიღებაზე.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას სტაჟირება გაიარონ საჯრო/კერძო დაწესებულებებში, სადაც მიიღებენ საჭირო პრაქტიკულ გამოცდილებას და ასევე ექნებათ შესაძლებლობა სამომავლოდ დასაქმდნენ ამ დაწესებულებებში. კურდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ისინი საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობენ კერძო თუ საჯარო სექტორში.

დოკუმენტაციის შესწავლისას და ჩატარებული ინტერვიუებიდან დგინდება, რომ ხორციელდება პროგრამის მუდმივი მონიტორინგი მისი მოქნილობისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც ითვალისწინებს შედეგების შეფასების სქემას, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზომოს ყველა შედეგი როგორც მთლიანობაში, ისე პროგრამის განხორციელებისას თითოეულ კომპონენტზე პერიოდულად.

წარმოდგენილი პროგრამა პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რადგან ამ საფეხურზე ხდება ისეთი მიზნების რეალიზება, როგორებიცაა: ღრმა და კომპლექსური ცოდნის მიღება, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისათვის შესაბამისი უნარების გამომუშავება, კვლევის საფუძველზე გარკვეული დროის ინოვაციური ცოდნის შექმნა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან, სტრატეგიასა და მიზნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კავშირშია პროგრამების სწავლის შედეგებთან და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკრედიტაციის ვიზიტის  დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024);
- პრაქტიკუმის მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამა განვითარების ყველა ეტაპზე მუდმივად განიცდიდა ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხასიათის მოდიფიცირებებს პროგრამის დახვეწისა და დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. პროგრამის გაუმჯობესების პროცესში მუდმივად იყვნენ ჩართულნი აკადემიური წრის წარმომადგენლები, უცხოელი პრაქტიკოსები და ყველა ის დაინტერესებული პირი, რომელთაც სხვადასხვა სიბრტყეში შეხება ჰქონდათ სასწავლო თუ კვლევით პროცესთან. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს.

შეფასების სისტემა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის სილაბუსში არის ასახული. აკრედიტაციის ვიზიტმა დაადასტურა პროგრამის პერსონალის (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის) ჩართულობა პროგრამის ფორმირების, კორექტირების, თუ რევიზიის სტადიებზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ადაპტირებულია დარგობრივ სტანდარტის მოთხოვნებთან. შედეგები ფორმირებულია სამ ჯგუფად, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია ქვეშედეგებში და გააჩნია საკმარისად დეტალიზებული ფორმა.

ცოდნა და გაცნობიერების შედეგი თავის მხრივ მოიცავს 5 ქვეშედეგს, რეალურად 4 ქვეშედეგს (ერთი ამოღებულია 2022 წლის 29 ივლისის აკადემიური საბჭოს #06-01/69 დადგენილებით). პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ ცოდნას, რომლებიც სამართლის მაგისტრს უნდა გააჩნდეს სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

A. ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე აღწერს საჯარო, სისხლისა და კერძო სამართლის სფეროებში არსებულ საკანონმდებლო და პრაქტიკულ მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებს, დარგობრივ მეთოდოლოგიურ ცნებებს, პრინციპებს, აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს, კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს;

B. ადგენს და კრიტიკულად მიმოიხილავს კანონმდებლობაში ასახულ ხარვეზებს და გამოწვევებს, პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს, განსაზღვრავს მათი აღმოფხვრისა და გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ხერხებს, მათ შორის ახდენს უცხოური გამოცდილების განზოგადება/გაზიარებას;

C. აქვს კომპლექსური ცოდნა ეროვნულ სამართალზე საზღვარგარეთის ქვეყნების, ევროკავშირისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებზე როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით განსაზღვრავს შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას. ხსნის სამეცნიერო მიღწევებისა და პრეცედენტული სამართლის ეროვნულ სამართალზე გავლენის მნიშვნელობას.

D. (ამოღებულია 2022 წლსი 29 ივლისის აკადემიური საბჭოს #06-01/69 დადგენილებით).

E. შეუძლია კომპლექსურად შეაფასოს მოსამართლის საქმიანობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. იცის პროფესიული და  სამოსამართლეო ეთიკის ძირითადი ასპექტები და მიმდინარე გამოწვევები, მათ შორის მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებები.

უნარის შედეგი ჩაშლილია ორ ქვეშედეგად და ასახავს იმ უნარებს, რომლებიც სამართლის მაგისტრს უნდა გააჩნდეს სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას.

F. აანალიზებს მოქმედ და უახლეს საკანონმდებლო ნოვაციებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო მიღწევებს, სამართლებრივ საკითხებზე მუშაობისას ამოიცნობს რთულ, არასტანდარტულ შემთხვევებს, საკანონმდებლო ხარვეზებს, კანონმდებლობის სრულყოფისა და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტისათვის შეიმუშავებს ორიგინალურ დასკვნებს; შეუძლია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, ეროვნული და საერთაშორისო მოვლენების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით; განსაზღვრავს თავისი გადაწყვეტილებების უარყოფით და დადებით შედეგებს, ,,მეთოდური პლურალიმზის" გამოყენებით მაღალპროფესიულ დონეზე განმარტავს სამართლებრივ ნორმებს.

G. ამოიცნობს რთულ სამეცნიერო და პრაქტიკულ პრობლემებს, შეიმუშავებს მათი მეცნიერული კვლევისა და გადაწყვეტის გზებს, იკვლევს ქართულ და უცხოურ წყაროებს, იყენებს უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს, სამეცნიერო სიახლეების მოძიების, წინააღმდეგობრივი, პრობლემური და არასრული ინფორმაციის დამუშავება - სისტემატიზაციის და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით ქმნის ნაშრომს, რითაც წარმოაჩენს გარკვეული დონის ინოვაციურ ცოდნას, სიახლეს. ასევე, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ახდენს თავისი კვლევის შედეგების შესახებ კომუნიკაციას. აიდენტიფიცირებს, აანალიზებს და დოკუმენტურად აფორმებს სამართლის სისტემის მიმდინარე ტენდენციებს, გამოყენებულ თეორიებს და უახლეს სამეცნიერო მიდგომებს. გეგმავს და წარმართავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, იყენებს კვლევის ეფექტურ მეთოდებს. შეუძლია სამეცნიერო კვლევით პროექტის/ნაშრომის შემუშავება. აცნობიერებს პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის სტანდარტების მნიშვნელობას და მათ გავლენას აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის საკითხებზე (შეტანილია ცვლილება 2022 წლსი 29 ივლისის აკადემიური საბჭოს #06-01/69 დადგენილებით).

პასუხისმგებლობის და ავტონომიის შედეგი ჩაშლილია სამ ქვეშედეგად და ასახავს იმ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებიც სამართლის მაგისტრს უნდა გააჩნდეს სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას.

H. პატივს სცემს, ქმნის და ამკვიდრებს დემოკრატიულ ფასეულობებს (სამართლიანობა, კანონის უზენაესობა, თავისუფლება, თანასწორობა და სხვ.). ფასეულობათა შექმნა - დამკვიდრების პროცესში, ინტერესების კონფლიქტის დაცვის მიზნით, ჰარმონიული თანაარსებობისათვის ინარჩუნებს დემოკრატიული ფასეულობებისადმი დამახასიათებელ ბალანსს (უფლება-მოვალეობა, თავისუფლება-პასუხისმგებლობა, თანასწორობა-ინდივიდუალური შესაძლებლობა და სხვ.). აღიარებს მოსამართლეთა

ეთიკურ სტანდარტებს და სამოსამართლო საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო ღირებულებებს. კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად ახდენს მათ რეალიზაციას და განვითარებას, მხარეთა ინტერესების ბალანსის შენარჩუნებას;

I. სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას იცავს კვლევის ეთიკურ ნორმებს და აკადემიურ სტანდარტებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს სხვადასხვა არაერთგვაროვანი მასალების გამოსაკვლევად და რთული ვითარების სამართავად. ეფექტურად იყენებს დროს და სტრატეგიულ მიდგომებს კვლევითი ნაშრომის შესაქმნელად.

J. ავტონომიურად წარმართავს და პასუხისმგებლობას იღებს როგორც პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაზე, ისე პრობლემების გადაჭრის ინოვაციური გზების ძიებაზე, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვაზე და გუნდური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ორგანიზებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის გავლის შემთხვევაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ანალიზი (სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელებული ცვლილებები და ანალიზი);
- აკრედიტაციის ვიზიტის  დროს ჩატარებული ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ:

სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს. შეფასების სისტემა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის სილაბუსში არის ასახული. აკრედიტაციის ვიზიტმა დაადასტურა პროგრამის პერსონალის (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის) ჩართულობა პროგრამის ფორმირების, კორექტირების, თუ რევიზიის სტადიებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის მიღწევადობის დასადგენად აუცილებელია სწავლის შედეგების შეფასება, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს:

1 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;

2 კურიკულუმის ანალიზი, რომლის დროსაც დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო რესურსებით;

3 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვებას, გაანალიზებას და ინტერპრეტაციას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის დადგენისათვის;

4 შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი, პირდაპირი ან/და არაპირდაპირი მეთოდები.

პირდაპირი შეფასება - გულისხმობს მეთოდს, რომლის მეშვეობითაც პირდაპირ ხდება სწავლის შედეგის მიღწევის გაზომვა ანუ იზომება სტუდენტთა ფაქტობრივი ცოდნა და

არსებული უნარები. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული დავალებები, ტესტები და გამოცდები, სამაგისტრო ნაშრომი, პროფესიული პრაქტიკა.

არაპირდაპირი შეფასება - მოიცავს იმ ინსტრუმენტებს, რომლითაც ირიბად არის შესაძლებელი ინფორმაციის მიღება შედეგების მიღწევის შესახებ. მაგალითად, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვები ან ინტერვიუები, გარე შეფასებები, დასაქმების მაჩვენებლით, აკადემიური მოსწრების ანალიზით, პროგრამის დასრულების მაჩვენებლით.

პროგრამის თითოეული შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნულები. უნივერსიტეტის ხედვით საჭიროა რეალური მოლოდინის დასახვა, თუ რა არის ის ზღვარი, როდესაც ჩაითვლება, რომ პროგრამამ თავისი მიზანი შეასრულა. სტუდენტთა მიღწეული შედეგების შესრულებიდან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში მოხდა პროცენტული მაჩვენებლის შერჩევა, რომელიც აჩვენებს სწავლის შედეგის მიღწევას, მაგალითად, კურსდამთავრებულების 71% შესძლებს ეფექტურ კუმუნიკაციას, გუნდურ მუშაობას და ა.შ.. შედეგად უნივერსიტეტმა განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგებისათვის მინიმალური ზღვარი - 71%, რომელიც ასახავს შედეგის მიღწევის სასურველ დონეს.

რამდენადაც ქულები ხშირდ არ იძლევა სტუდენტის შესრულების შესახებ ამომწურავ უკუკავშირს, დაწესებულება სწავლის შედეგების შესაფასებლად ასევე იყენებს რუბრიკებს, რომელიც  შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს სტუდენტის ძლიერი და სუსტი შესრულების იდენტიფიცირებისთვის. რეკომენდირებულია რუბრიკას ჰქონდეს 3-დან 5 დონემდე. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს ჰოლისტიკური და ანალიტიკური რუბრიკა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ასევე დადგინდა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი ეტაპია მიღებული შედეგების გაანალიზება, ანალიზის შედეგად კი პროგრამის გაუმჯობესება. ანალიზის ეტაპზე ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შედარება და იმის დადგენა, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც ნავარაუდები იყო. ასევე ხდება განსაზღვრა, ხომ არ არის ერთი ან მეტი სწავლის შედეგი, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან საერთოდ ვერ აღწევს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების გადახედვა, რომლებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს. შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს: ➢ ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში; ➢ ცვლილება კურსის წინაპირობებში; ➢ ცვლილება სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში; ➢ სასწავლო კურს(ებ)ი, დამატება ან ამოღება პროგრამიდან; ➢ ცვლილებები სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში; ➢ ცვლილებები თავად პროგრამის სწავლის შედეგებში; ➢ ცვლილებები შეფასების მექანიზმებში და ა.შ. .

პროგრამის ხელმძღვანელი და განვითარების ჯგუფი იხილავენ შეფასების შედეგებს, რა დონეზე მოხერხდა დადგენილი გეგმის შეფასება, რაიმე ნაკლოვანება ხომ არ აღმოაჩინეს პროცესში, საჭირო ხომ არ არის რომელიმე ეტაპის ან კომპონენტის მოდიფიცირება. დაწესებულების მიერ განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში. ამასთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, რომლის მიზნით : ა) ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, ბ) ატარებს სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს; გ) საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინტერვიუირებას; დ) ახორციელებს სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს; ე) აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს; ვ) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პროგრამის, სასწავლო კურისი სილაბუისისა და შესაბამისი მასალის ექსპერტიზას.

ინტერვიუებიდან ასევე დადგინდა, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტებთან უკუკავშირი, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ მათ.

წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზიდან დადგინდა, რომ სილაბუსებში გაწერილი სწავლის მეთოდები ითვალისწინებს კონკრეტული საგნის სპეციფიკას და ის ორიენტირებულია თითოეულ სტუდენტს დაეხმაროს შესასწავლი საგნის დაუფლებასა და შესაბამისი შედეგის მიღწევაში. სწავლება ეფძნება სააუდიტორო, პროფესიულ პრაქტიკულ სწავლებას და სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას. სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, სემინარი, კონსულტაცია, პრაქტიკული მუშაობა, კლინიკური სწავლება.

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგები დაფუძნებულია პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე და პროგრამის მიზნები და შედეგები თანხვედრაშია შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ანალიზი (სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელებული ცვლილებები და ანალიზი);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის დანართი 4);
- პროგრამის  სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (პროგრამის დანართი 3);
- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი;
- აკრედიტაციის ვიზიტის  დროს ჩატარებული ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| **1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია  საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის შესაბამისად (დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის დადგენილება Nr06-01/54 ბსუ-ს (დანართი №1)). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთანამშრომლობითი, ღია და გამჭვირვალე პროცესია. მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ (შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები), რათა საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებდეს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მიღებულ საგანმანათლებლო სტანდარტს. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება უნდა მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რაც დადასტურებული უნდა იქნას სათანადო კვლევებით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან მოქმედი პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება პროგრამის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან: ა) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები; ბ) აკადემიური/სამეცნიერო/ან მოწვეული პერსონალი; გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; დ) სტუდენტი/სტუდენტები; ე) კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები; ვ) დამსაქმებელი/დამსაქმებლები (შრომის ბაზრის/ინდუსტრიის, კურსდამთავრებულის სავარაუდო დასაქმების სფეროს წარმომადგენელი) და ა.შ.. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები სამუშაო ჯგუფთან ერთად ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამის სილაბუსებსა და პროგრამის აკრედიტაციისათვის საჭირო ყველა მასალას და განსახილველად წარუდგენს კურიკულუმის კომიტეტს. კურიკულუმის კომიტეტი ამზადებს დასკვნას პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის/შეუსაბამობის თაობაზე. კურიკულუმის კომიტეტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა წარედგინება დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამა, სათანადო რეკომენდაციებით უბრუნდება პროგრამის სამუშაო ჯგუფს გადასამუშავებლად. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით (ვიზირებით) წარედგინება აკადემიურ საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო და აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს საგანმანათლებლო პროგრამის დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტიზა. აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრისათვის წარდგენის პროცესის კოორდინირებას ახორციელებს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს ECTS: წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი ანუ 4 სემესტრია.

1. სპეციალობის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი ECTS; 2. საერთო სპეციალობის კონკრეტული მოდულების (საჯარო, სისხლი და კერძო) სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი ECTS; 3. საერთო სპეციალობის კონკრეტული მოდულის (საჯარო, სისხლი და კერძო) არჩევითი სასწავლო კურსი - 10 კრედიტი ECTS; 4. სასწავლო პრაქტიკა - 30 კრედიტი ECTS; 5. კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა - 30 კრედიტი ECTS.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს. საკონტაქტო საათები მოიცავს სალექციო, პრაქტიკული მუშაობის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათებს.

სწავლების  მესამე სემესტრი მთლიანად ეთმობა სასწავლო პრაქტიკას (სულ 30 კრედიტი), ხოლო მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო კვლევას და ნაშრომის დაცვას (30 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი, რომელი კურსი სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკით  ჩანს, რომ პროგრამის შინაარსით სწავლის ყველა შედეგი დაფარული.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მთლიანობაში შეესაბამება სწავლების საფეხურს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სამართლის მაგისტრი) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის დადგენილება Nr06-01/54 ბსუ-ს საგანმანათლებლო პოგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის დანართი 4);
- აკრედიტაციის ვიზიტის  დროს ჩატარებული ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| **კომპონენტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| **1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის კურიკულუმის, სასწავლო გეგმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ სწავლის შედეგები აკმაყოფილებს მაგისტრატურის საფეხურისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში

განსაზღვრული ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ჩამოყალიბებულია კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად - საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სასწავლო კურსის დასახელება, სილაბუსის ავტორი/ავტორები, სასწავლო კურსის სტატუსი, სწავლების ენა, კრედიტების რაოდენობა - საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, სასწავლო კურსის მიზანი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის ფორმატი, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, ძირითადი - სავალდებულო ლიტერატურა, დამატებითი (დამხმარე) ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები, ასევე  კურსის შინაარსი ყოველკვირეული თემატიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კონკრეტული საგნის სპეციფიკას, მოცულობასა და მისი შესწავლისათვის აუცილებელ დროს.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით მაგისტრატურის საფეხურისათვის დადგენილ ცოდნასა და უნარებს. არჩევითი კურსების მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესის შესაბამისად მათ მიერ არჩეული საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით მიიღონ შესაბამისი ცოდნა. სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით ირკვევა, რომ შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსებით განსაზღვრული სასწავლო მასალები წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის  დროს ჩატარებული ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ:

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის 111-ე დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდა ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად, სრულყოფილად წარადგინა დადგენილი დოკუმენტაცია, ჩააბარა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში და დადგენილ ვადებში გააფორმა ხელშეკრულება ბსუ-სთან. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები გულისხმობს უცხო ენის ფლობის B2 დონის დასადგენ ტესტირებას და წერით გამოცდას სპეციალობაში, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ღია და დახურულ ტესტებს, კაზუსის ამოხსნას, კონკრეტულ თემებზე წერილობითი პასუხების გაცემას. აპლიკანტთათვის საჭირო ყველა აუცილებელი ინფორმაციის ნახვა შესაზლებელია ბსუ-ს ვებ-გვერდზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანია, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მიზნებისა და შედეგების, პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს, მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ პროგრამაზე მიღების პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესახებ, არამედ შეუქმნან კონკრეტული წარმოდგენა და მოლოდინი პროგრამის არსსა და სწავლის შედეგებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია აქტიური პრაქტიკის/იურიდიული კლინიკის სახით (30 კრედიტი). მისი მიზანია, საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს განივითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა. პრაქტიკის დაგეგმვისას, უსდ-ს განისაზღვრული ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც რელევანტურია პროგრამის მიზნებსა და სამართლის სფეროსთან.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედითი). სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი. იმისათვის, რომ სტუდენტმა განახორციელოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა აუცილებელია მას ამოწურული ჰქონდეს სასწავლო კომპონენტი, მათ შორის სასწავლო პრაქტიკა. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი ითვალისწინებს კომპონენტის მიზანს, კრედიტების რაოდენობასა და საათების განაწილებას სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, კომპონენტის ფორმატს, დაშვების წინაპირობებს, სწავლება-სწავლის მეთოდებსა და შესაბამის აქტივობებს, ცოდნის შეფასების ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, სწავლის შედეგებს, ძირითად და დამატებით ლიტერატურას. სამაგისტრო ნაშრომის ფასდება 100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება საჯარო დაცვის დასრულებისთანავე კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით; საჯარო დაცვაზე ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: პრობლემის აქტუალობა; პრობლემის პერსპექტულობა; მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება; ნაშრომის აკადემიური დონე; პრეზენტაციის უნარი.

უნივერსიტეტს გააჩნია პლაგიატის კომპიუტერული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი ნაშრომების შიდა სამართლებრივი აქტებით რეგულირების პროცესს, რაც აღმოფხვრის ნაშრომში პლაგიატის ნიშნებს.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას სტაჟირება გაიარონ საჯრო/კერძო დაწესებულებებში, სადაც მიიღებენ საჭირო პრაქტიკულ გამოცდილებას და ასევე ექნებათ შესაძლებლობა სამომავლოდ დასაქმდნენ ამ დაწესებულებებში. კურდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ისინი საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობენ კერძო თუ საჯარო სექტორში.

სხვადასხვა პანელთან ინტერვიუს შედეგებით (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგებით) გამოიკვეთა, რომ სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ე.წ. კურიკულუმის გარეთ აქტივობებში, და ამ მხრივ სტუდენტებს გააჩნიათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რაც

მნიშვნელოვანია სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების თვალსაზრისით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით, ასევე, დასტურდება მაგისტრატურის სტუდენტებისათვის ყოველწლიურ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობაც, ამასთან, უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს და ასევე თვითონ არის ორგანიზატორი კონფერენციების, საჯარო ლექციების, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათი ინტერესების სფეროს შესაბამისად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა აქტივობაში.

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი უნარების გამომუშავებას და სტუდენტების შესაბამის ღონისძიებებში ჩართვას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პრაქტიკის/კლინიკური სწავლების სილაბუსი;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- პრაქტიკუმის მემორანდუმები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლების მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და აკმაყოფილებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის მოთხოვნებს.

სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს კურსის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და მიზნების მიღწევის მეთოდიკას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს მრავალფეროვან და თანამედროვე აქტივობებს, როგორიცაა: (1) ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, ვერბალური ახსნა–განმარტება, დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი (Case study), დამოუკიდებელი სწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში (Brain storming) (ცოდნისა და გაცნობიერება); (2) ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD), როლური და სიტუაციური თამაშები, შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), ევრისტიკული მეთოდი, გუნდური (collaborative) მუშაობა, დისკუსია/დებატები, ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი,Power Point და სხვა) (უნარების გამომუშავება); (3) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), დისკუსია/დებატები, რომელთა დროსაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები (პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავება). აღნიშნული მეთოდების შერჩევა კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებაში ხდება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკასთან. შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებულ „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს“, რაც დასტურდება საგანმანათლბლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კურსში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს (შუალედური შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა, შუალედური გამოცდები - 20 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა).

შუალედური შეფასება შედგება მიმდინარე შეფასებისგან - 40 ქულა და შუალედური წერითი გამოცდა - 20 ქულა.

მიმდინარე შეფასება გულისხმობს სტუდენტის აქტიურობას და მის ჩართულობას მთელი სწავლების პროცესში პროგრამითა და ცალკეული სილაბუსებით განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით. შუალედური წერითი გამოცდა კი გულისხმობს სასწავლო სემესტრის მე-9 კვირაში, სილაბუსით გათვალისწინებულ განვლილ მასალაზე დაყრდნობით შედგენილ საკითხებზე სტუდენტის ცოდნის წერითი ფორმით შეფასებას.

დასკვნითი გამოცდა წარმოადგენს სილაბუსით გთვალისწინებული მასალის ათვისების შემოწმებას და შეფასება კომბინირებული ფორმით.

შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) სტანდარტულადაა განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა).

საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით, რომლის უფლებას მაგისტრანტი მოიპოვებს სასწავლო კომპონენტის სრულად ათვისების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს და იგი წარმოადგენს მაგისტრის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგს. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება იმავე სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) კომისიური წესით.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურის და წესების მიხედვით, გამჭირვალეა და კანიონმდებლობასთან შესაბამისი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და

რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| **მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები** | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| **კომპონენტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ს სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.

უნივერსიტეტს არ აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობასთან (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) შესახებ, შესაბამისად აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად განხილულ იქნა 22.02.2021 ექსპერტთა დასკვნის დოკუმენტი და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილება;

რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ *„ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება მასში ჩარტული აკადემიური და მოწვეული პროფესორების მიერ. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია 25 პირი, აქედან 14 - აკადემიური პერსონალია (2 პროფესორი, 5 - ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტი), 7- მოწვეული პერსონალია“.* აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო რამოდენიმე რეკომენდაცია, მათ შორის ერთ-

ერთი რაოდენობასთან დაკავშირებით *(პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის მიმართულებით;)* რომელიც უნივერსიტეტის მიერ შესრულებულ იქნა (იხ. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 22 0000661789 17/06/2022 სხდომის ოქმი)). შესაბამისად შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

„აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილება“ დოკუმენტის მიხედვით გაცემული რეკომენდაციები, ასევე ეხებოდა „სალექციო კურსის გაძღოლა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევისა და კვალიფიკაციის პირის მიერ; და :აუცილებელია აკადემიური პერსონალი მუდმივად იყოს ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში“.

(სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 22 0000661789 17/06/2022 სხდომის ოქმი)) დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2022 წლიდან ბიუჯეტი გაიწერა პროგრამული საჭიროებებისა და ფაკულტეტების მოთხოვნების გათვალისწინებით, სადაც ასევე გათვალისწინებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერის ქვეპროგრამა, რომლის განხორციელების მოსალოდნელ შედეგებს წარმოადგენს სტუდენტთა ჩართვა გაცვლით პროგრამებში და სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება. ანგარიშში მითითებულია, რომ მხარდაჭერის პროგრამები 2022 წლიდან ამოქმედებულია და პერსონალი უკვე სარგებლობს აღნიშნულით, რაც ასევე დადასტურდა ინტერვიუების დროს.

ინტერვიურების დროს გაირკვა რომ უნივერსიტეტში დანერგილია უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასების წესი. პერსონალი ვალდებულია ყოველწლიურად appa.bsu.edu.ge პლატფორმაზე ასახოს წლიური სამეცნიერო ანგარიში.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიურების შედეგად, დადასტურდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათზე დაკისრებულ ფუნქციებთან. აკადემიური და

მოწვეული პერსონალი აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ კვალიფიკაციას. კერძოდ, პერსონალის განათლება და აკადემიური საქმიანობის გამოცდილება შესაძლებელს ხდის სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, რაც დასტურდება, მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებითა და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება განათლებით, აკადემიური საქმიანობის გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით; ასევე ვიზიტის შედეგად, დადგინდა რომ პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის სამსახურთან და მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში.

სტუდენტების მხრიდან ინტრევიურების დროს აღინიშნა, რომ ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან კომუნიკაციისას რაიმე ტიპის პრობლემებს არ აწყდებიან და აქვთ შესაძლებლობა, მათ მიმართონ როგორც პირდაპირ, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]** | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | | | | |
| - პროფესორი | | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | | | | |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | | |
| - ასისტენტი | | | | |
| მოწვეული პერსონალი | | | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- 22.02.2021 ექსპერტთა დასკვნის დოკუმენტი;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილება;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 22 0000661789 17/06/2022 სხდომის ოქმი).

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.1 ადამიანური რესურსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით კონკრეტული ინფორმაცია არ იკვეთება.

| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | | | |
| - პროფესორი | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | | | |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | |
| მოწვეული პერსონალი | | | – |
| სამეცნიერო პერსონალი | | | – |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება №07-01/21 „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის

გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე“ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დამტკიცდა ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი, რომელმაც გააუქმა ადრე მოქმედი მსგავსი შინაარსის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში - კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე, ტრეინინგები, სეზონური სკოლები ან/და სხვა სამუშაო მონაწილეობის დაფინანსების მოპოვების პროცედურას, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების ღონისძიების გამოყენების რეგულაციას. ბსუ-ში დასაქმებული უფლებამოსილია ერთი კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 30 დღის ვადით პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღოს როგორც ბსუ-ს ღონისძიებაში (საუნივერსიტეტო/ საფაკულტეტო ან სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებული ღონისძიება), ასევე, საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, დასწრებით ან ონლაინ/დისტანციურად და წინამდებარე წესის შესაბამისად მიიღოს სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება ბსუს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში. ბსუ-ში დასაქმებული უფლებამოსილია პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღოს თვითდაფინანსებით. ასეთ შემთხვევაში, დასაქმებულის სამუშაო ადგილზე არყოფნის გამო შრომითი ურთიერთობის შეჩერების ან სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით (სამსახურებრივი ბარათით), იღებს რექტორი ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მათი კომპეტენციის შესაბამისად (გადაწყვეტილება აისახება შესაბამის ვიზირებაში ან/და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ამზადებს სამართლებრივ აქტს) - აღნიშნული ასევე დასტურდება შესაბამისი ინტერვიუებისგან მიღებული ინფორმაციით.

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით გაიცა გარკვეული რეკომენდაციები *((1)აუცილებელია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო და კვლევით საქმიანობასა და პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის მუდმივი ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში. უსდ-ს მიერ მხარდაჭერილი დაწახალისებული უნდა იქნეს პერსონალის მსგავსი აქტივობა, ხოლო შემდგომში ყოველწლიურად მოხდეს ინფორმაციის შეფასება და ანალიზი;(2) ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების შესახებ ღიად და გახსნილად მიეწოდებოდეს პერსონალს; (3) საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკის მიღების მიზნით*

*აუცილებელია, პერსონალის ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, განსაკუთრებით ევროპულ უნივერსიტეტებთან. ამ მიზნით სავალდებულოდ იქნეს უზრუნველყოფილი მათი მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში, გაცვლით პროგრამებსა და სხვა მსგავსი ხასიათის პროექტებში)* - აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილება;

.(სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 22 0000661789 17/06/2022 სხდომის ოქმი)) დოკუმენტიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებული იყო და ზოგიერთი მათგანი სრულად შესრულებული.

უნივერსიტეტის მიერ წარმიდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ უსდ-ს დღეის მდგომარეობით 35 ქვეყნის 115-მდე უნივერსიტეტთან, სამეცნიერო კვლევით დაწესებულებასთან თუ ფომდთან აქვს გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, მათ შორის 15-მდე ორგანიზაცია ითვალისწინებს პროფილურად სამართლის მიმართულებით თანამშრომლობას. მაგალითად: ლიეტუვას რესპუბლიკა (სამართლისა და ბიზნესის საერთაშორისო სკოლა); ავსტრიის რესპუბლიკა (გრაცის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი); აშშ (ჩიკაგო-კენტის სამართლის კოლეჯი), და სხვა.

ასევე, გაცვლითი პროგრამებთან დაკავშირებით დამყარდა ურთიერთობა უკრაინის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც დასტურდება 2021 წლის დეკემბერში უკრაინის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი, იგორ სიკორსკის კიევის ტექნიკურ ინსტიტუტთან დადებული 3 წლიანი მემორანდუმით; 2021 წლის ივნისში ა.ს. მაკარენკოს სახელობის სუმის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტთან გაფორმებული 5 წლიანი მემორანდუმით პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად (დანართი 17, 18);

საინფორმაციო ლინკიდანhttps://bsu.ge/sub-2660/page/16302/index.html ირკვევა, რომ იტალიის რეჯიო კალაბრიოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო დისკუსია გაიმართა თემაზე: „ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე გამოწვევები". ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და იტალიის რეჯიო კალაბრიოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. ასოცირებულმა პროფესორმა ანგელო ვიგლიანისი ფერარომ ისაუბრა სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე, კერძოდ, ერთობლივი

სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე, საზაფხულო სკოლების ორგანიზებასა და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებაზე.

საინფორმაციო ლინკიდან https://bsu.ge/main/page/16308/index.html ირკვევა, რომ 2022 წლის 23 თებერვალს გამოცხადა კონკურსი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის მიმართულების აკადემიური პერსონალისთვის 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ბიალისტოკის უნივერსიტეტში (პოლონეთი). მობილობის ხანგრძლივობა შეადგენს 5 სამუშაო დღეს. ბიალისტოკის უნივერსიტეტი - https://uwb.edu.pl/home მიმართულება - სამართალი.

ამასთან, დამატებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია მოიცავს ოთხ ძირითად ამოცანას (4.2 პუნქტი), რომლის შესრულების მიზანსაც წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობა ამ მიმართულების გასაძლიერებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულება უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს აკადემიური პერსონალის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას,

უნივესრიტეტის მიერ წარმოდგენილი პერსონალის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დამადასტურებელი სხვადასხვა დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უსდ აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის უზრუნველყოფს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, წიგნების გამოცემასა და სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებას.

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მუდმივად ხდება გამოკითხვების ჩატარება აკდემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან მათი საჭიროებების გაცნობის მიზნით. აღნიშნული გამოკითხვების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტი გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს, მაგალითად უსდ-ს მიერ დაორგანიზდა და ჩატარდა უცხო ენის შემსწავლელი კურსები, უნივერსიტეტში მოქმედი ბაზების გამოყენების, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების გაცნობა/გამოყენება.

შესაბამისად ბსუ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- პერსონალის გადამზადება-განვითარება;
- ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი;
- პერსონალის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დამადასტურებელი სხვადასხვა დოკუმენტაცია;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- 22.02.2021 ექსპერტთა დასკვნის დოკუმენტი;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 22 0000661789 17/06/2022 სხდომის ოქმი);
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილება;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მეტერიალური აღჭურვილობა უზრუნველყოფს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც პროგრამას უზრუნველყოფს სასწავლო თუ კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის შესაბამისი ლიტერატურით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები, სასწავლო-მეტოდური და სამეცნიერო ლიტერატურა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ "EBSCO პაკეტით", Royal Society Journals Collection ბაზით, რომელშიც განთავსებულია კვლევები მეცნიერების სხვადასხვა დარგში; BioOne Complete რომელიც აერთიანებს 125.000 სრულტექსტიანი სტატიას ბიოლოგიის, ეკოლოგიის, გარემოს დაცვისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. მოიცავს 184 მაღალი იმპაქტფაქტორიანი სამეცნიერო კვლევით ჟურნალს; **(**HeinOnline (HOL**)** კომერციული ინტერნეტ- მონაცემთა ბაზის სერვისი, რომელიც სპეციალიზირებულია იურიდიული მიმართულებით და ა.შ (იხ ვებ-გვერდი).

ამასთან ლიტერატურის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მატერიალური სახით არსებული ლიტერატურის ელექტრონული ფორმით გადაქცევას, ბიბლიოთეკის პერსონალი უწყვეტად ახორციელებს. აღნიშნული ხორციელდება სასწავლო კურისის მასწავლებლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

ვიზიტისას (ონლაინ) დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სტუდენტური პორტალი - სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი - portal.bsu.edu.ge. აღნიშნული პორტალი გამოირჩევა მისი მრავალფუნქციურობით, როგორიცაა მიმოწერა, საგნებზე რეგისტრაცია, გამოცდების განრიგის გაცნობა, გამოცდის დაწერა, ინფორმაცია როგორც საუნივერსიტეტო ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ მიმდინარე აქტივობების შესახებ, სიახლეები და სხვა. პორტალი პასუხობს თანამედროვე სტუდენტური ელექტრონული პორტალის ყველა მოთხოვნას.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისა და სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება-განვითარების მიზნით,

უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს სხვადასხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

ჩატარებული ინტერვიუებიდან და ხელთ არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, დგინდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი მოხმარების შესახებ ( წერილი 14/10/2022 MES 9 22 0001294590) ;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- ვებ-გვერდი;
- მემორანდუმები;
- https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html
- https://heinonline.org/HOL/Welcome?fbclid=IwAR2bxfE2_97FRr4nGbl5Sq7n_SZdXE8vtcuOxheN7HSO9M8-D5Xfz293c1w
- https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.4 მატერიალური რესურსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

2021 წლის 24 დეკემბერს ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესი, გადაწყვეტილება #07-01/59. აღნიშნული გადაწყვეტილების მე-5 მუხლის (მუხლი 5. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება) მე-3 პუნქტის მიხედვით: *„3. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები არაუგვიანეს ყოველი წლის 20 სექტემბრისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ უნივერსიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში გასაწევი ხარჯების შესახებ დეტალურ ინფორმაციას (საბიუჯეტო განაცხადს).* როგორც უნივერსიტეტი უთითებს, აღნიშნული გადაწყვეტილების მე-5 მუხლი იმგვარად არის გაწერილი, რომ ფაკულტეტის ინდივიადუალური საჭიროებები გათვალისწინებულია, კერძოდ ზემოაღნიშნული მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს ფარდობით ფინანსურ დამოუკიდებლობას. ასევე, აღნიშნული წესი მართვისთვის მეტად მოქნილი და ადაპტირებულია ცვლილებების შეტანის თვალსაზრისით. საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს ფინანსური რესურსების გადანაწილება. *(იხ.* სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 22 0000661789 17/06/2022 სხდომის ოქმი)).

უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი (ტრენინგის გავლის ინიციატივა, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მივლინება, სამივლინებო ანგარიშგება იხ.საბჭოს გადაწყვეტილება №04 (13 ივლისი, 2018 წ), ასევე, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით დაწესებულებაში მოქმედებს გარკვეული შეღავათები: *(ბსუ-ს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ბსუ-ს პერსონალს (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ და ბსუ-ში არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილების მქონე პირებს) ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით უცხო ენების მოკლევადიან პროგრამებზე სწავლისათვის ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ განესაზღვროს შეღავათიანი სწავლის საფასური“* იხ.საბჭოს გადაწყვეტილება №01 (29 იანვარი, 2018 წ); აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში შემუშავდა და

მქომედებს ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი შიდა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება, მკვლევართა მოზიდვა, თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება. დარეგულირებულია უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის წესი (იხ. აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის #36 დადგენილება).

ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებაში კვალიფიციური კადრებისა და დარგის სპეციალისტების მოწვევისა და შენარჩუნების მიზნით მოქმედი წახალისების მექანიზმები გამოწვევების შესაბამისად იხვეწება და მომავალშიც გაგრძელდება პროცესი.

შესაბამისად, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიუჯეტი (სამართალი მაგისტრატურა);
- ბსუ-ს ბიუჯეტი;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 22 0000661789 17/06/2022 სხდომის ოქმი);
- აკრედიტაციის ვიზიტის  დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილება №04  (13 ივლისი, 2018 წ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილება №01  (29 იანვარი, 2018 წ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიების თაობაზე;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #01-11/84 ბსუ-ს პერსონალის მივლინების ადმინისტრაციული წესის დამტკიცების შესახებ;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის #36 დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების შესახებ - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_6256_1.pdf;

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის #113 დადგენილება ბსუ-ში „საზაფხულო/ზამთრის სკოლის“ ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9317_1.pdf
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება №07-01/63 ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე - https://www.bsu.edu.ge/main/lage/2-38/imdex.html

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

## 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის, მასზე დართული დოკუმენტაციის შესწავლის და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ:

უნივერსიტეტს აქვს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომლის ძირითადი პრინციპებია: ა) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა; ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა; გ) პერსონალის შეფასებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა; დ) სასწავლო რესურსებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესება; ე) სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; ე) პერიოდული და ეფექტური მონიტორინგის, შეფასების და რეაგირების სისტემის გაუმჯობესება. აღნიშნული პრინციპების რეალიზების მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მთელი რიგი მექანიზმები სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განვითარება და შეფასების; პერსონალის პროფესიული წინსვლის; სწავლის და კვლევვების ინტერნაციონალიზაციის და ა. შ.

უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვას და შედეგების ანალიზს პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ან ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება ლექცია-სემინარებზე დასწრება, ამის შესახებ ლექტორებს ეცნობებათ 24 საათით ადრე. დასწრების დროს მიმდინარეობს შემოწმება ლექტორების მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმების, პრაქტიკული ცოდნის თეორიასთან შესაბამისობის და ა. შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- გამოკითხვის ფორმები;
- შრომის ბაზრის ანალიზი.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის, მასზე დართული დოკუმენტაციის შესწავლის და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ:

პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა დარგის ექსპერტების მიერ, ასევე გარე ხარისხის შეფასების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს აკრედიტაციის დოკუმენტს, კერძოდ, პროგრამაში სრულად არის გათვალისწინებული აკრედიტაციის საბჭოს მიერ 26.03.2021 გადაწყვეტილებით მიღებული რეკომენდაციები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით;
- ზ. როგავას შეფასება;
- დ. გეგენავას შეფასება.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის, მასზე დართული დოკუმენტაციის შესწავლის და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ:

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ რეგულარულად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და შეფასება, რასაც ადასტურებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა. მათ მიერ

მოწოდებული ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის შედეგად, ხორციელდება პროგრამის ცვლილება და გაუმჯობესება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**

„სამართლის“ სამაგისტრო პროგრამა

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

| შეფასება / სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მაკა კაზრტოზია 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო მესხიშვილი